საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №270
2020 წლის 9 ნოემბერი

ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007 წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ დანართი №2-ში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბიუჯეტის შემდეგი განმკარგველები:

1. 0774 - სსიპ – კონკურენციის სააგენტო – ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„163	0774	სსიპ – საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო“;

2. 0800 - სსიპ – სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი – ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„189	0800	სსიპ – მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი“;

3. 0927 - ა(ა)იპ – სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო – ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„315	0927	ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ივანე მაჭავარიანი**